არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი

(ააიპ) „ჩერნოვეცკის ფონდი "

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

BDO

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი

(ააიპ) „ჩერნოვეცკის ფონდი "

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება 5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. მომზადების საფუძვლები 6
3. იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანები 6
4. პროგრამა სპეციალური საჭიროება ბენეფიციარებს 6
5. ადმინისტრაციული ხარჯები 7
6. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 7

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0108 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების აუდიტზე

ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდის" დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდის" (შემდგომში - „ორგანიზაცია") თანდართული ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების (ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც „ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება") აუდიტი 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე, რომელიც აღწერილია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების
მე-2 შენიშვნაში.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებათა აბზაცი - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და მოსაზრების გავრცელების შეზღუდვა

ჩვენ გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების მომზადების საფუძველი. ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის მიერ ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის შესახებ ინფორმაციის დონორებისთვის მიწოდების მიზნით. შესაბამისად, ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება შესაძლოა არ იყოს გამოსადეგი სხვა მიზნებისთვის. ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ ორგანიზაციის და მისი დონორებისთვის. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის წინამდებარე ანგარიშგების მომზადებაზე ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე, რომელიც აღწერილია ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში და ანგარიშგების მომზადების საფუძვლის მისაღებობაზე, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ფონდის ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" ნევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს რწმუნებას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ეკატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 ოქტომბერი, 2024

ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდი"

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საწყისი ნაშთი		**275,902**	**257,559**
მიღებული ფულადი სახსრები			
იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანები	3	777,465	706,200
საქველმოქმედო შემოწირულობები		66,537	39,388
ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული პირდაპირი შენატანები		1,416,976	575,251
სხვა		134	684
სულ მიღებული ფულადი სახსრები		**2,261,112**	**1,321,523**
გაცემული ფულადი სახსრები			
პროგრამა სპეციალური საჭიროება ბენეფიციარებს	4	(1,378,037)	(970,506)
ადმინისტრაციული ხარჯები	5	(271,983)	(280,664)
სულ გაცემული ფულადი სახსრები		**(1,650,020)**	**(1,251,170)**
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		858	(52,010)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი		**887,852**	**275,902**

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მხრიდან 2024 წლის 11 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ ევგენია მელგუნოვა

6 – 7 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის წინამდებარე ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

არასამთავრობო ორგანიზაცია ააიპ „ჩერნოვეცკის ფონდი" („ორგანიზაცია") 2012 წლის 10 აპრილიდან დაფუძნდა და დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ საქართველოს მოქალაქეებს; მრავალშვილიან ოჯახებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, საწოლს მიჯაჭვულ ხანდაზმულებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ორგანიზაციის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე ლეონიდ ჩერნოვეცკი. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის მეორე მ/რ, ბ. ჟღენტის ქუჩა, # 11.

ორგანიზაცია ფინანსებს მოიზიდავს დონორებისა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანებით.

2023 წლის განმავლობაში ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს/პროგრამებს:

- პროგრამა დახმარება სამისამართო პროექტების ბენეფიციარებს - დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის - პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მოწყვლად ჯგუფებსა და მრავალშვილიან ოჯახებს - დახმარება მათ ვისაც ესაჭიროება მკურნალობა და ოპერაცია. ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. ორგანიზაცია ცალ-ცალკე იღებს შემოწირულობებს თითოეული ბენეფიციარისთვის და ეხმარება მათ თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. 2023 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ 155 ოჯახს გაუწია სამედიცინო დახმარება და ასევე უზრუნველყო საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკით, ავეჯით, ველოსიპედებით, სასკოლო ნივთებით, ტელეფონებით, სამშენებლო მასალებით, ტანსაცმლით, საკვებითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით.

2. მომზადების საფუძვლები

ფულადი სახსრების მიღებისა და გახარჯვის ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის მიერ ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის შესახებ ინფორმაციის დონორებისთვის მიწოდების მიზნით, ფულადი სახსრების მიღებისა და გაცემის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე, რაც საქართველოში ფართოდ დამკვიდრებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისგან განსხვავებით ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფილი საფუძველია. ამ საფუძვლით შემოსავლის აღიარება ხდება მისი მიღებისას და არა გამომუშავებისას, ხოლო ხარჯებს აღიარებენ მათი გადახდის და არა წარმოშობის მომენტისთვის.

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართული ლარის ვალუტაში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შენატანები

	2023	2022
SERVIDEN ENTERPRISES LIMITED	770,516	693,795
სხვა იურიდიული პირები	6,949	12,405
სულ	**777,465**	**706,200**

4. პროგრამა სპეციალური საჭიროება ბენეფიციარებს

პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული ფულადი სახსრები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2023	2022
დახმარება ბენეფიციარებს	(657,254)	(446,805)
პირდაპირ დაკავშირებული ხელფასის ხარჯები	(328,867)	(305,447)
მარკეტინგის ხარჯი	(391,916)	(218,254)
სულ	**(1,378,037)**	**(970,506)**

5. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	(89,594)	(132,837)
ქირის ხარჯი	(63,000)	(65,100)
ავეჯი და ტექნიკა	(46,885)	(25,780)
აუდიტის ხარჯი	(26,859)	(22,407)
კომუნალური ხარჯები	(12,542)	(13,287)
ბანკის საკომისიო გადასახადები	(3,509)	(1,426)
დაზღვევა	(2,420)	(2,671)
ჰიგიენური საშუალებები	(1,848)	(1,339)
დაცვის მომსახურება	(1,632)	(1,632)
პროგრამული უზრუნველყოფა	(1,251)	(1,460)
საკანცელარიო საქონელი	(1,096)	(919)
სხვა	(21,347)	(11,806)
სულ	**(271,983)**	**(280,664)**

2023 წელს ფონდის თანამშრომელთა რაოდენობა 18 ადამიანს შეადგენდა, მათ შორის 6 ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე თანამშრომელი, ხოლო 12 სპეციალურ პროგრამებზე მომუშავე.

6. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ორგანიზაცია ახორციელებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეები არიან ფიზიკური პირები (და მათი უშუალო ოჯახის წევრები) / იურიდიული პირები, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ორგანიზაციაზე.

ორგანიზაციის მთავარი დონორი და დამფუძნებელია ლეონიდ ჩერნოვეცკი. 2023 და 2022 წლების განმავლობაში ორგანიზაციამ საქველმოქმედო შემოწირულობების სახით მიიღო 770,516 ლარი და 693,795 ლარი, შესაბამისად. „Serviden Enterprises Limited"-ისგან. აღნიშნული კომპანია იმყოფება ლეონიდ ჩერნოვეცკის კონტროლის ქვეშ.

2023 და 2022 წლების განმავლობაში ორგანიზაციამ, ხელფასის სახით, ფონდის ხელმძღვანელობას გადაუხადა 91,044 ლარი და 133,127 ლარი, შესაბამისად.

CONTACT

2 Tarkhnishvili Street
Vere Business Center
0108 Tbilisi, Georgia
+995 32 254 58 45
+995 32 218 81 88

BDO Georgia LLC, BDO Audit LLC, BDO Consulting LLC, BDO Legal LLC, BDO HR&Payroll LLC and BDO Startup Fund LLC, Georgian limited liability companies, are members of BDO International Limited, a UK company limited by guarantee, and forms part of the international BDO network of independent member firms.

BDO is the brand name for the BDO network and for each of the BDO Member Firms.

Copyright © 2023 BDO. All rights reserved. Published in Georgia.

www.bdo.ge

Mixed Sources
Product group from well-managed forests and other controlled sources

FSC

www.fsc.org Cert. no. CQ-COC-000010
© 1996 Forest Stewardship Council

FEDRIGONI, Canova paper.
Completely biodegradable and recyclable.

BDO